ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ. № 37. 22 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. 1878 წ.

ᲮᲔᲚᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ:

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, «ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ» რედაქციაში სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, ვართანოვის სახლებში № 5.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენებზედ.



«ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ» ᲤᲐᲡᲘ:

ერთის წლისა, გაგზავნით ᲙᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜ. . . 7 მ. —
ნახევარის წლისა . . . . . 3 მ. 50.
თითო ნომერი . . . . . — 15.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საჯარო ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲡᲐᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲒᲘᲗ

ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ: I. **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ:** ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ სახ. შკოლების მასწავლებლებთა კრება ქ. ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ 1878 წ, „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞ. თელავი, ინგალო, ქუთაისი,—II, **ᲡᲐᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ.**—III. **ᲛᲝᲙᲚᲔ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ** საზღვარ-გარეთიდან.—IV. **ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲣᲠᲘᲘᲓᲐᲜ.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ სახ. ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲗ ᲙᲠᲔᲑᲐ ქ. ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ 1878 ᲬᲔᲚᲡ.

10. სეკტემბერი. დღევანდელი დღე განსვენების დღე გახლავს და ამისათვის ჩვენნი მასწავლებელნი განისვენებდნენ. მართალია დღემდისინაც არა გაუკეთებიათ-რა, მაგრამ რა ვუყოთ. დღეს მაინცკი მიეტევებათ უსაქმობა.

11. სეკტემბერი. იტყვიან, ორშაბათს თუ რამე გააკეთა კაცმა, ის იმ კვირაში ბევრს საქმეს გააკეთებსო, და თუ ვერაფერი გააკეთა, ის კვირა სულ გაუცდებაო. ეს თუ მართალია, ჩვენს მასწავლებლებსაც ეს კვირა უნდა გაუცდესთ, რადგანაც დღეს ტუილა უბრალოთ ყაყანის მეტი არა ᲭᲥᲝᲜᲘᲗ ᲠᲐ.... დილას ორმა მასწავლებელმა გაკეთილები ასწავლეს. ამათ კი ღვთის წინაშე კვარიანად აღასრულეს თავისი ვალი, მაგრამ სამწუხარო საღამოს სხდომა იყო. ჯერ განარჩიეს, თუ როგორ ასწავლეს გაკეთილები დღევანდელმა ოსტატებმა, მერმე შეუდგნენ სამღვთო კანონის პროგრამმის განხილვას; ერთის აზრი მეორესს არ ეთანხმა. ზოგი იძახდა, ეს ესრე არ კარგაო, ზოგი იძახდა, ეს ადგილი აქედამ უნდა გამოგრიცხოთო, ზოგი რასა და ზოგი რას. ბოლოს საქმე იქნობამდის მიგიდა, რომ ᲡᲔᲚᲐᲮᲚᲐᲓ ᲙᲐᲓᲐᲛᲓᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲕᲔᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲐᲕᲐᲓ ᲑᲝᲚᲝᲡ უფ. ᲓᲘᲮᲐᲩᲔᲕᲛᲐ ᲐᲣᲬᲡᲜᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲡ, თუ რა გვარი კანონები უნდა იხმარონ ამათ წერის სწავლების დროს, ამასთან მისცა მათ უმაწვილების საჯდომის სტოლის ზომა.

12. სეკტემბერი. გაკეთილებს დღეს ორი მასწავლებელი ასწავლის. უფ. იანე როსტომაშვილი, სასულიერო სემინარიაში ნასწავლი და უფ. ᲧᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ. როსტომაშვილი, ეტყობა ბეჯითია და მუყაითი თავის საქმისა. ეს იმან დღეს დაამტკიცა მაყურებლებთან. უნდა ვსთქვათ, რომ როსტომაშვილი ეკუთვნის ეხლანდელის მასწავლებლების საუკეთესო რიცხვსა. ამას ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜ თავისი სიმუყაითე გამოიჩინოს და მით მოუტანოს სარგებლობა თავის თანა-მემამულეს. მეორე მასწავლებელი უფ. ᲧᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ რასაც ენით ᲓᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ, იმას საქმით ვერ ასრულებს. ეს ამან დღეს სწავლების დროს დაამტკიცა. ამისაგან, თამამად შემიძლიან ვსთქვა, უმაწვილებს არა უსწავლიათ რა დღეს. მეხუთე გაკეთილი ერთს განუოთვილებას ასწავლა უფ. იოკიმე კანდელაკმა ქართულს ენაზე. სწავლება შესდგებოდა ქართულის წერილების კითხვისაგან და მათი შინაარსის თქმისაგან. გაკეთილების სწავლებაც გათავდა და ჩვენც იქით-აქეთ გავიფანტენით.

საღამოის, ხუთის საათის ნახევარი იქნებოდა, შეიკრიბნენ მასწავლებლები სამეურნო საზოგადოების შენობაში, სადაც უფ. მიხ. მაჯავარიანს, ქართულის სიმღერების ნოტებზე გადამკეთებელს მოელოდნენ, რომელსაც სთხოვა თვით უფ. სტერლეტკიმ, რათა მან, მაჯავარიანმა, თვისის სიმღერების რამდენიმე ხმა ასწავლოს მასწავლებლებს. მოვიდა მაჯავარიანი, შეიკრიბა მასწავლებლები და დაიწყო მათთან ერთად: „თამარ მეფე და ხონთქარი მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა.....“ ამ სიმღერის გამგონს წარმოგიდგებოდათ ნამდვილი ქართული გულხური სიმღერა,

რომელიც იტიან მათ ფერხულის დროს, ეს სიმღერა რამდენჯერმე გაიმეორეს, მერმე იმღერეს „მზე შინაო“ ესეც ნამდვილს ქართულს ხმაზეა შემდგარი, „არაგვი“ და „ტუეს ესხმება ფოთოლი,“ რომლებიც ბოლოს დროს იმღერეს, იტალიურს კილოზეა შედგენილი. რამდენიმე მასწავლებელთაგანი რაღაც გვერდზე უტქერიდნენ ამ სიმღერებს. ზოგი კი შესტქერიდნენ უფ. მაჯავარიანს პირში, რა არის ამის ნათქვამი სიტყვა არ გაგვეპარის უყურადღებოთაო. სასთ ნახევარზე მეტი იმღერეს, ამ დროს უფ. დირექტორი—სტრელეცკი არ დასწრებია, რადგანაც დღეს კავკასის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველს რაღაც მოლაპარაკება ჰქონდა და ეს იქ უნდა დასწრებოდა.

13 სექტემბერი. გაკვეთილებს ასწავლიან უფ. ნათაძე და ჩვენი ნაცნობი კუზუკოვი. ნათაძემ გვარიანათ ასწავლა უმაწვილებს, მხოლოდ იმოდენი საქმე ვერ მისცა სხვა და სხვა განყოფილების მოსწავლეთ, რომ ყველას თანასწორად ერთსა და იმავ დროს შასრულებიათ საქმე. მაგ. მესამე განყოფილების შეგირდებს ცოტა საქმე ქონდა მიცემული, ასე რომ თუთხმეტს წამს გაათავეს და იმის შემდეგ მიჰყვეს ხელი ცელქობას. უფ. კუზუკოვი დღეს უფრო რიგიანად ასწავლიდა, ვინემ ამას წინეთ, რომელზედაც მკითხველმა იცის ტოტოდნათ.

საღამოის მეხუთე საათია, სამეურნო საზოგადოების შენობიდგან გამოისმის ქართული სიმღერის ხმა. ეს გახლავს უფ. მიხ. მაჯავარიანი და სასოფლო. მასწავლებლები, რომლებსაც მაჯავარიანი ასწავლის ნოტებზე ახლად გადაღებულს სახალხო სიმღერებს. ამათ გარდა აქ იმყოფებიან სასმენელად რამოდენიმე გარეშე პირი, ცოტა ხნის შემდეგ გალობა გათავდა, და დაიწყო ჩვეულებრივი სხდომა. თავდაპირველად გაარჩიეს უფ. ნათაძის და კუზუკოვის ნასწავლები გაკვეთილი. შემდეგ შეუდგენ ქართულის ენის სწავლების პროგრამმას. დღეს სამღვთო კანონის პროგრამმა უნდა განეხილათ, მაგრამ გადასდგეს პარასკევისათვის, რადგანაც ამ დღისათვის მოწვეულნი არიან ორი მღვდელი. ქართულის სწავლების პროგრამმის შემდგენელმა უფ. იოკ. კანდელაკმა წაიკითხა თავისი პროგრამმა, რომელშიაც ეწერა: პირველს წელში უნდა გაიარონ უმაწვილმა „დედა ენისა“ ორი მესამედი; დანარჩენი ამ წიგნისა და რამოდენიმე ნაწილი „ბუნების კარისა;“ მეორე წელშიო, გრამმატიკიდამ ცნობები, რამოდენიმე პოეზიური ნაწარმოები, როგორც მაგალითებრ: „ქართლის ბედი“, „აჩრდილი“ და სხვ. პროზაიული ნაწერებიდამ: „კაცია, ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“, „ჩვენებური საქმის ბოლო“, რამოდენიმე მოთხრობები, „კრებულიდამ“ და „მნათობიდამ“, უფრო ისეთი მოთხრობები, რომლებიც შეეხებიან უფრო ჩვენს ცხოვრებას. გაათავა თუ არა უფ. კანდელაკმა „ავისი პროგრამმის კითხვა, შეიქნა იქიდამ და აქედამ გაცხარებული ბასი: ზოგი ამბობდა პროგრამმა ვრცელია და უნდა შემოკლდესო, ზოგი იძახდა: თვით წიგნები უნდა შემოკლდნენო. ამ დროს ადგა უფ. გიორგი იოსელიანი და ჭსთქვა, „ბუნების კარის“ ისე გაკვლა არ შეიძლება, როგორც უფ. პროგრამმის შემდგენელი ამბობსო. ეს წიგნი შესდგება რამოდენიმე განყოფილებიდამ, რომლებზედაც ცალკ-ცალკე კერძო უურადღება უნდა იქმნეს მიქცეულიო. გაათავა თუ არა ს[illegible]ვა უფ. იოსელიანმა, ადგა უფ. მოზალევსკი, რომელმაც წიგნის შემოკლები ს შესახებ ჭსთქვა შემდეგი: პირველად, როდესაც უშინსკიმ თავისი „родное слово“ შადგინა, ყოველი კაცი აღტაცებაში მოვიდაო, ყოველის მხრიდამ ათასგვარი მადლობა და ქება მოსდიოდა, ბოლოს ერთ თვესაც არ გაეკვლო ეს ქება ლანძღვათ შეიცვალაო. რისთვის? მისთვის რომ ეს წიგნი ერთს თვეს გაიარეს, რადგანაც არ იცოდნენ, მასწავლებლებმა როგორ ეხმარათო, ამისთვის თქვენ ნუ იტყვით, წიგნი დიდია, ან პატარაააო. თქვენ მხოლოდ ვინც გამოცდილნი ხართ შეადგინეთ ისეთი პროგრამმა, რომ დაახლოებით აჩვენოთ თუ რამდენის გაკვლა შეიძლებაო. ვინც პროგრამმის დადებულზედ მეტს ასწავლის, ის ხომ კარგი იქნება და კარგიო. არც ამ სიტყვამ გააკვეთა რამე. ქართულის ენის პროგრამმაც სამღვთო კანონის პროგრამმასავით მომავალს სხდომამდის გარდაიდვა. როგორღაც ეს საქმის გადადება კანონად შემოიღეს ჩვენმა ბედაგოგებმა. ვაი თუ თავიანთ შეოლებშიაც ამ კანონებს ხმარობენ. შემდეგ უფ. დირექტორმა განუმარტა მასწავლებლებს, თუ რა არის თვ[illegible] და თვალ სწავლა.

14 სექტემბერი დღეს ჯვართ-ამაღლებაა. საქმიანობა ცოდვათ ჩარიცხეს ჩვენმა მასწავლებლებმა. ქუჩასეირნობის გარდა სხვა არ გაურიგებიათ რა.

15 სექტემბერი. სწორეთ უნდა გიოხრა, დღეს ძველებურად უსაქმოდ არ ყოფილან ჩვენი მასწავლებლები. ავათ თუ კარგად ორი საქმე მაინც გაათავეს. მაგრამ სასმდისინ ამაზედ ვიტყოდეთ, მანამდისინ მსურს ორიოდე

სიტყვა ვსთქვა იმაზე, თუ როგორ ასწავლეს დღევანდელმა მასწავლებლებმა უფ. თეოფ. კანდელაკმა და მარგ. რიყა-მაძემ. ესენიც იმ მასწავლებლების რიცხვს ეკუთვნიან სწავლების საქმეში, რომელსაც ზემო სათქვამი მასწავლებელნი. გაკვეთილები ისევ ისე უსულ-გულოდ, მძინარედ, მოდრეკით და არეულ-დარეულად მიდიოდა, როგორც აქამამდის, მაგრამ ამ მასწავლებლებს „უხუცო“ ალაგს შეუძლიათ „ხუცობა“.

ახლა ჩავიდეთ სამეურნო საზოგადოების შენობაში ანა აგერ უფ. მაკავარიანი ირგვლივ მასწავლებლებით შემოხვეული იმღერის. აგერ გუნდ-გუნდათ დგანან გარეშე ბირნი საუურებლად მოსულნი და ლაპარაკობენ გაცხარებულად, სხვა და სხვა საგნებზე, აგერ ორი თუ სამი ქალი მიდი-მოდის და რალაცაზე გამოჯავრებული ხელს იქნევს. ტოტა ხანი გაიელის და ყველას ქალს და კაცს დამსხდარს ხედავთ, უფ. დირექტორი სტრელეცკი ადგება და ამბობს: აქ ორი პროგრამმა არის სამღვთო კანონისა. პირველი მათგანი თითქმის მიღებულად ჩაითვლება, რადგანაც წინა სხდომებზე უმეტესმა ხმამ ამის მიღების სურვილი განაცხადესო. მეორე პროგრამმა უფ. ივ. როსტომაშვილისა, იმით განირჩევა პირველისაგან რომ ამაში გვირჩევს შემდგენელი რათა ვასწავლოთ პირველად შემოსულს უმაწვილებს, იმ მოწამეთა ცხოვრება, რომელნიც ჩვენს ხალხში პატიცემულნი არიანო. ეს მისთვის არისო სასარგებლო, რომ უმაწვილებმა ამათი ცხოვრება ტოტათ თუ ბევრად იციანო და შემდეგ ზოგი საუოველდღეო ლოცვები გასწავლოთო. ტოტა ბაასის შემდეგ პირველს პროგრამმას მისცეს უპირატესობა. პირველი პროგრამმა შეიცავს შემდეგს: პირველს წელში ჯერ ბავშმა უნდა გაიცნოს ღვთაება, რას ნიშნავს პირჯვარის წერა, რისთვის ვლოცულობთ, სად ვლოცულობთ და სხვ. შემდეგ თორმეტი საუფლო დღესასწაული და რამოდენიმე ყოველს დღეს სათქმელი ლოცვები, მეორეს წელს, რამოდენიმე თავი ძველის და ახალის აღთქმის ისტორიისა. შემდეგ რამდენიმე ლოცვები; მესამე წელს ვრცლად ძველის აღთქმის და ახალის აღთქმის ისტორია, სამკოლო სარწმუნოებისა, ათი მცნება და ზიარების წინ ლოცვა. ამის შემდეგ დაიწყეს ქართულის ენის სწავლების პროგრამმის განხილვა. პროგრამმა იყო უფ. იოკ. კანდელაკისა და ცხვედაძისაგან. შეიძლებოდა პროგრამმა გვარიანად შეედგინათ, მაგრამ მიუხედველად ამისა დიდი ლაპარაკი ასტუდა მაინცა. ლაპარაკში მიიღეს მონაწილეობა გარეშე პირთაც. სწორეთ უნდა გითხრათ ჯერ ასეთი გაცხარებული ბაასი არ ამტუდარა. მიზეზი ამისა იყო ის თუ რამდენს წელიწადს უნდა გაიარონ უმაწვილმა „დედა ენა“ და შემდეგ რა წიგნი უნდა მიესცეთ უმაწვილს საკითხავათ, რომ მან სამშობლო ენა შეისწავლოს რიგიანათო. მასწავლებლები, გარდა ივ. როსტომაშვილისა, ამბობდნენ: რადგანაც სხვა წიგნი არა გვაქვს გარდა „ბუნების კარისა“, ეს წიგნი უნდა გიხმარონთ. მაგრამ უფ. როსტომაშვილი ამაზე არ თანხმდებოდა, რადგანაც „ნამდვილის“ ქართულის ლიტერატურულის ენით არ არის დაწერილი „ბუნების კარიო

ამ ლაპარაკს არც ერთის მხრით არაფერი არ გაუკეთებია. სიტყვა ნამდვილი იყო თუ არა, ისევ მაინც სიტყვათ დარჩა და პროგრამმა ისევ ჩვეულებრივ გადაიდვა მომავალის განხილვისათვის.... ყველა აქ მოოფი წავიდნენ თავიანთ სახლში. აქ დარჩნენ უფ. დირექტორი და მასწავლებლები დირეკტორმა უთხრა მასწავლებლებს:

ჩვენ ან ყოველს დღეს აქ არ შეეკრიბებით, რადგანაც ჩვენი საქმე არავის აინტერესებსო(?). აქ კვირაში მარტო სამჯერ მოვალთ ხოლმეო, მოვიტანთ რომელიმე წინად ჩვენგანვე განხილულს პროგრამმას და განვარჩევთ ხოლმეო. სხვა დღეებში კი ჩემს სახლში გვექნება სხდომებიო. ბოლოს ჰკითხა მასწავლებლებმა თუ რა და რა ნივთი ეჭირება მათ შოლებს და დასწერა აქედამ კარგა შეგემლოთ გაგეგოთ თუ რა მდიდრულად მორთული ყოფილან ჩვენი შოლები. აქ არ ყოფილა არც საბელმძღვანელო წიგნები არავითარი და არც კლასის საწერი ფიცარია.

16 სეკტემბერი. ქალაქის საბჭოში ასწავლიან უფ. კაპანაძე და ხუციევი. ესენიც ისეთ ნაირნი არიან, როგორც სხვები. ერთი დრამი არც მეტი მოვლენ სხვებზე და არც ნაკლები. საღამოს სხდომა გახლდათ საბჭოში და არა დირექტორის სახლში, როგორც დაჭვირდა გუშინ, აქ უფ. დირეკტორმა აუხსნა მასწავლებლებს, თუ რას ნიშნავს თვალ და თვალ სწავლება.

17 სეკტემბერი. დღეს კიდევ არიან მიხმობილნი მასწავლებლები უფ. დირექტორის სახლში, საცა ამათ ყოველივე სასწავლებლის მოთხოვნილება უნდა წარუდგინონ მას.

ანანია.

თელავი, („ივერიის“ კორრესპონ.). ძლივს ედიდ-სათ თელაველებს ერთი ქართული წარმოდგენა! ეს ერთი თვეა, რაც ემზადებიან წარმოსადგენად ქართულის სცენის მოყვარენი და აი ძლივს 17-ს მარიამობისთვეს მოახერხეს. წარმოდგენილ იქმნა ორი კომედია: ერთ-მოქმედებიანი (ორს განყოფილებად) კომედია „განა ბიძიამ ცოლი შეირთოო?!“ თხზ. ზ. ანტონოვისა და გოდეგილი „ცოლი თუ გინდათ ეს არი!“ თხზ. ვ. აბაშიძისა. ჯერ ერთ-ხელ მოამზადეს და უნდოდათ წარმოედგინათ 10-ს მარიამობისთვეს, მაგრამ მთავრობამ ნება არ მისცა მარხვისა გამო; ამისათვის გადადებულ იქმნა 17-ს მარიამობისთვისათვის. წარმოდგენა, რომელიც მოხდა სოფლების შეკოლის ზალაში, დაიწყო ცხრის ნახევარზე. ზალა ხალხით იყო გაჭედილი და რაც შეეძლოთ, აბრაგუნებდნენ იატაკზე, „მალე დაიწყეთო!“ აი მოისმა მესამეთ ზარის წკარუნი და აიხადა ფარდა. სცენაზედ იდგა „გალუსტ მინაიჩი“ (უფ. ჩულხიევი), რომელმაც მართლა რომ გაბედულობით და კარგად დაიწყო თვისი როლი. ლაშარაკი და მიხრა-მოხრა უფ. ჩულხიევს ნამდვილი „გალუსტ მინაიჩის“ ჭქონდა; ასე რომ თვისი როლი გვარიანად ადასრულა. უნდა კი შევნიშნოთ, რომ უფ. ჩულხიევი ზოგიერთის ადგილას მეტად უტნაურად და შეუფერებლად ამბობდა თავის სიტყვებსა—ძალადატანებით. ამ გვარი ნაკლულევანება უფრო მაშინ გამოაშკარავდა, როდესაც ეს თავის ცოლის...—სოფიოს მოლოდინით აღტაცებული ლექსს ამბობდა: „ორიოდ დღეში ვნახე ჩემი სოფი-ო“ მაშინვე კი უნდა ყველს მოვეხვიო—„ო“ იმ ნაირად ამბობდა ამ ლექსსა, რომ არც თუ სიძღერა იყო, არც თუ ლაშარაკი. რომ გაათავებდა თითოს სტრიქონს და მიგიდოდა უკანასკნელს მარცვალთან (ო), შატარას ხანს შესდგებოდა და შემდეგ, ამოოხვრით ამოიძახებდა: „ოჭ!..“ მაგრამ ეს ნაკლულევანება არაფრად გამოსჩნდა იმ დიდსებასთან, რომელიც უფ. ჩულხიევმა გამოიჩინა მთელის როლის აღსრულებაში; მით უმეტესად, რომ იგი „ბირველად“ არის სცენაზე.. „მანუჩარ სტეფანიჩის“ როლის აღმასრულებელზე ვერასფერს ვიტყვი, რადგანაც ამ სტრიქონების დამწერი თამაშობდა ამ როლს. ის კი უნდა ვაღიარო, რომ „კარგი, ადამიანი“-დგან წაგიკითხე მე-IV თავი და ისე უხეირად მოამზადა, რომ კითხვის დროს სიტყვიდით სულ ოფლში გიწურებოდი! დალახვრა ღმერთმა, არ ვიცი რა უბედურობა იყო ჩემს თავსა.... რომ შევატყე ჩემს თავს, რომ საქმე ცუდად წავიყვანე—დამასხა ოფლმა! თქვენი მტერი იყოს, როგორს მდგომარეობაშიაც მე ვიყავ!... ერთის სიტყვით, ჩემი მდგომარება კითხვის დროს ყ—ყ. რუსსოს მდგომარეობას მიემსგავსებოდა, როდესაც მან მუზიკანტობა დაიწყო და ერთის ქალაქში კონცერტი მისცა (რადგანაც სხვა დონისძიება არა ჭქონდა ბურის შოვნისა) და, რადგანაც არავითარი გარმონია არ ისმოდა (არ იცოდა როგორ დასწერდა ბიესას?!)—„სიტყვიდით ოფლში გიწურებოდიო,“ აღვიარებს ყ—ყ. რუსსო თავის „აღსარებაში...“ სოფიოს“ გალუსტას ცოლს, თამაშობდა კ.-ენა მ. რუსიევისა, რომელმაც, თუმცა „ბირველად“ იყო სცენაზე, მაგრამ გვარიანად აღასრულა თვისი როლი. ლაშარაკობდა გაბედულობით და ხშირად გრძნობითაც, მიხრა-მოხრაც, არ იყო რომ გვარიანი ჭქონდა. „სოფიო“ ზოგიერთის ადგილას ჩქარა და ბოლოს ნელის ხმითაც ლაშარაკობდა. ხმა საზოგადოდ არა აქვს ჭკვი და სუფთა—უფრო ყლრიალა ხმა აქვს კ—ენა მ. რუსიევისას. საზოგადოდ ამანაც გვარიანად აღასრულა თვისი როლი (ცოტა საკაპარაკოცა ჭქონდა). „თინათინას“ როლს თამაშობდა კ—ნა ნ. რუსიევისა, რომელმაც ყველა მოთამაშეს გადააჭარბა თავის ხელოვნურის და ნიჭიერის თამაშობითა. ხმა, კიდო ლაშარაკისა, სცენაზე დგომა და მიხრა-მოხრა ნამდვილს „თინათინას“ წარმოუდგენდა მაყურებელს. მეტადრე კიდოს ისე მშვენივრად უქცევს ლაშარაკში, როგორც ნამდვილი „ძველი შინაური“ სომხის დედა-კაცი. არ უნდა დავიწყოთ ისიც, რომ კ. ნინო დიდის გრძნობითაც ლაშარაკობდა... იქნება ეს იმიტომ მოხდა, რომ ეს შატიოტემული კნეინა „ბირველად“ არ არის სცენაზე, მაგრამ რაც უნდა იყოს, ჩვენ იმას ვამბობთ, რაცა ვნახეთ. იმედია, რომ შემდეგშიაც კარგად წარმოადგენს კომიკურს როლებს, თუ შესაფერი როლი აურჩიეს.... „კეკელას“ როლი კ—ნა მ. მაყაშვილისამ ითამაშა. ამანაც საზოგადოდ კარგად აღასრულა თვისი როლი კ. მაყაშვილისა საქებია უფრო სითამამით, რომელიც გამოიჩინა წარმოდგენის დროს. ამის მიზეზი ის უნდა იყოს უფრო, რომ როლი ყველაზედ უფრო კარ-

გად ჭქონდა შესწავლილი და ლაპარაკობდა კიდეც კარგად და ხან-და-ხან გრძნობითაც. ეს უკანასკნელი ღირსება უფრო მაშინ გამოიჩინა კ. მაყაშვილისამ, როდესაც „სოფიოს“ ელაპარაკებოდა თავის სიყვარულზე „მანუასადმი.“ ხანდის-ხან ესეც ჩქარობდა... „დოქტორის“ როლი უფ. თათუზოვმა ითამაშა. როლი მეტის-მეტად გაზეიბრებული ჭქონდა, რის გამოც ისე ჩქარა ლაპარაკობდა, რომ ეგონებოდა კაცს „დაბადებიდგან“ გაგეთილსა ჭკითხულობსო და ეშინიანო, რომ ერთი სიტყვა არ გაუშვასო. ‹მაგრამ ეშმაკი მაცდურია: ამასაც გადაახვევდა ხოლმე დავორების ხანდისხან, ეგები ანგელოზებმა ვერ წამართვან და მე დამრჩესო...ზოგჯერ რაც დასამალი და საზოგადოებისკენ სალაპარაკო იყო თვისივე მოლაპარაკესაკენ ლაპარაკობდა. ქცევაშიაც ბორძიკობდა: ერთხელ ტილინდრიანი შემოვიდა და ეგრე დაიწყო ლაპარაკი; მეორეთ კი, იმის ბედზე, კარებში შემოსვლის დროს გადმოვარდა თავიდამ. ხანდის-ხან სცენაზედაც ავიწყდებოდა ტილინდრი და ერთ-ხელ (მგონი მეორეთაც) შეგიდა გამოსატანად. სხვაფრივ გვარიანად ითამაშა... „ივანიკას“ როლი უფ. გახაკამ ადასრულა. სიფიცხე, კიდო (საზოგადოდ) ბიხრა-მოხრა იმერლისა ჭქონდა უფ. ვახაკას, მაგრამ ხანდის-ხან უდროოდ შემ ჯობოდა ხოლმე სცენაზედ. საზოგადოებას ვახაკას ლაპარაკი (თუმცა სალაპარაკო არაფერი ჭქონდა; წინადადებას იმეორებდა მთელს მოქმედებაში) სხვების ლაპარაკზე უფრო მოსწონდა, რადგანაც მას მეტად სამასხარო სალაპარაკო ჭქონდა და უფრო მიტომ, რომ უცნაურ მასხარად იყო ჩაცმული... აქედამ ცხადად დავინახე, რომ აქაურს საზოგადოებას (ზოგიერთების გარდა) არ მოეწონება იმისთანა აქტიორი, როგორიც იყო მოჩალოგი და სხვები ამ გვარი.... საზოგადოდ კარგად წავიდა ბირგელი კომედია; ასე რომ საზოგადოება დიდად კმაყოფილი დარჩა... ვოდევილში: „ცოლი თუ გინდათ ეს არი!!“ „ადვოკატის ივანეს“ როლს ი. დ. რ. თამაშობდა. ეს ცოტა მძიმედ იქცეოდა ხანდის-ხან იმ დროს, როდესაც სიმარდე და „გაცხარება“ უნდა.. სხვაფრივ გვარიანად ადასრულა თვისი როლი.—„ანეტას“—(ივანეს ცოლი) როლი კ—ნამ მ. მაყაშვილისამ ითამაშა. ამ ვოდევილშიაც კარგად ადასრულა თვისი როლი; მეტადრე გაანჩხლება ძრიელ უხდებოდა... მაგრამ „ისტერიკა“ კი ვერ მოუვიდა კარგად... მიხრა-მოხრა აქაც მშვენიერი ჭქონდა კ—ნა მ. მაყაშვილისას... აგრეთვე კარგად იმღერა ლექსი, რომელსაც თავის ქმარზე—ადვოკატზე ამბობდა: „ხომ სედავთ, გარ ბედნიერი, ქმარი რომ მყავს მშვენიერი...“ „დიდმუტელოგის“ და „კინტოს“ როლი უფ. ჩულხიეგმა ადასრულა. ბირგელი როლი კი ეგრე კარგად ვერ ადასრულა, როგორც პირველს კომედიაში, მაგრამ მეორე—„კინტოს“ როლში კი კარგი იყო—კინტოს ტანისამოსით და თამბახით თავზე... „დათიკას,“ ივანეს ძმახურის, როლი უფ. ვახაკამ ადასრულა, მაგრამ ეგრე კი ვედარ ატინა საზოგადოება, როგორც ბირგელს კომედიაში.... „მოახლეს“ კ—ენა მ რუსიეგისა თამაშობდა. გვარიანად ადასრულა აქაც თვისი როლი, რომელიც მეტად მოკლე იყო... საზოგადოდ რომ გსოქვათ, ეს უკანასკნელი ვოდევილი უფრო ვერ იყო ისე კარგად, როგორც ბირგელი... სცენაზე ბლომად დაიხარჯა ფული. ანგარიშს ეხლავე ვერ ვუდგენ „ივერიის“ მკითხველებს, რადგანც მეორე წარმოდგენასაც აბირობენ ამ კვირას იმავე საგნის (ქალების სასწავლებლების) სასარგებლოდ და ჯერ არ არის ნაანგარიშები შემოსავალ-გასავალი ბირველის წარმოდგენისა; ამისათვის მეორე წარმოდგენა რომ გათავდება—მაშინ წარმოუდგენ დაწვრილებით ანგარიშს „ივერიის“ მკითხველებს... მაშ დარჩეს.

მანუა—ვაჩნაძიანელი.

ინგილო, („ივერიის“ კორრესპონდ.). წლეგანდელი წელიწადი შესანიშნავი წელიწადია! ინგილოებს ბევრი ზარალი და ბევრიც სარგებლობა მოუტანა, ასე რომ ზარალმა სარგებელი მოწმინდა და ხალხს არაფერი დარჩა. მართალია, შემოსავლის ბირი საიმედო და სამაგალითო გახლდათ. ინგილოებს მეტათ უსარგოდათ' რომ წლეგანდელი მოსავალი შარშანდელის სიმვირეს დაავიწყებსო. ეს იმედი გაუმტყუნდათ. მართალია, ყანები კარგი მოუვიდათ, მაგრამ წვიმამ დაულაბო ხალხს ძნები, რომელნიც მინდვრათ ჭქონდათ შენახული. ამით აიხსნება ხორბალის, ბურის სიმვირე ქ. ნუხში. ქერებსაც ესევე დაემართათ. რაც შეეხება ბრინჯის მოსავალს, ჯერ კარგად არის, მერმე კი დმერთმა უწყის. ფეტვები სრულიად არ არის, რადგან ფეტვის დათესის დროს

წვიმა არ მოვიდა, რომ მოელბო მიწა, და მოსახნავთ გამოეყენებინა. ყურძენი იმდენი არ არის, რამდენიც შარშან იყო. აგრეთვე აბრეშუმი წლეულს მცირედი მოვიდა. ამ სახით წლეულს გლეხმა ვერ მომკო იმდენი, რამდენიც დასთესა და რამდენსაც მოელოდა. გარდა ამისა ინგილოების საქონელში (ძროხაში) ჭირი გაჩნდა და მრავალი პირუტყვი დახოცა, ასე რომ ზოგიერთის ინგილოს საქონელს 200—300 მ. ზარალი მისცა. მაგრამ ესეც კიდევ არაფერი. თვით ბუნებაც მოსვენებას არ აძლევს საწყალს და ილაჯ გაწყვეტილს სალხს. ხშირი, წვიმებისაგამო მოვარდება ხოლმე მდ. ქურმუხში, დიდი წყალი (ნიაღვარი). ნურც მტერს, რასაც ის დააყრის ხოლმე საწყალს ხალხს: ზოგის ვენახს, ზოგის სახლს, ზოგის ყანას, მოხნულს მიწას, დათესილს ბრინჯს, ფეტვს და თვით ადამიანებსაც წაიღებს ხოლმე. სოფ. კახს დიდი ზარალი მისცა: ერთი გვერდი სულ გამოუწყვიტა, ღამის მოელი სოფელი რიყეთ აქცია. იქიდან მწერენ, რომ სოფ. კახის საშველათ ბეგარა გამართულა და სცდილობენ მდინარე დაიმორჩილონ. არა მჯერა: უჯათი წყალია. სოფ. მაწეხში, თუ კარტეხში უკვე წვიმა მოვარდა, ამ დროს ბავშვები ორ-ღობეში თამაშობდნენ. ერთი პატარა ბავშვი ამათთვან, სანამ მოასწრებდა შინ წასვლას, ნიაღვარმა (ორ-ღობეში) მოიტაცა და დაახრჩო. გვამი ამ უმაწვილისა იპოვეს სოფლის ბოლოს. ერთხელ კიდე მოვარდა წვიმა და მერმე ნიაღვარიც, რაც ქვიტკირის და უბრალო ს

კიბე და ბულვარის მხრით მიადგეს თვის მიერ აღრჩეულის სახლის ზეკითურის სართულის დერეფანს. ძირს ფეხები კიბისა იდგნენ, თურმე, ზედ ქუჩაზედ. იქვე მაღალ სვეტზე ანათებდა ფანარი. სამი კაცი, როგორც ამბობენ, ძირს სახლის გვერდით იდგნენ უთუოდ იმ ჭაზრით, რომ რასაც მეოთხე ზეკიდამ გადმოაგდებდა, მათ უნდა აეკრიფათ და გაექანებიათ. ის მეოთხე აჭუკა კიბეს და, როცა გაუსწორდა დერეფნის რიგულებს, ნელ-ნელა დაუწყო თვალიერება, წუკს ვინმე დერეფანზე, თუ არა, ჭნახა, რომ იქ ერთი კარგი ზორბა ბიჭი გადხლაშულა და ჭხერენს. ვინ იცის ამ კაცის ხერენამ, თუ იმან, რომ მან ზალაში დაინახა მნთებიარე სანთელი, შეაშინა, და ითქრა, რომ უთუოდ გარდა ამ კაცისა, აქ სხვანიც უნდა იყვნენო, გადაწვდინა ხელი იქვე რიგულთან დგმულს სკამს; აიღო მასზედ მდებარე ვერცხლის ჩერქეზური ქამარი და მასზედ ჩამოკიდებული ვერცხლითვე მოჭედილი ხანჯალი და არხეინათ დაიწყო ქვევით კიბეზე ჩაბძანება. უცბად დერეფანზე მწოლელს ვაკა ქამრის ბალთების ყლარუნი მოესმა ძილში. წამოდგა და ძილ-ძლეიძრად ჭკითხავს ვის, თვით არ იკის: „რა გახუმრებს, თუ კაცი ხარ; მე მეძინება, და შენ ჩემს ქამარს მიათრევ? ეგ რა ბიჭობა არისო“? მაგრამ ქურდი შეუშოვრად მიბძანდება და მიბძანდება ქვევითკენ. ქამრის პატრონმა ჭსცნა, რომ აქ სახუმრო საქმე აღარ არის, და ყარაულებს ხმაურობა დაუწყო. მაგრამ, თუმცა იქვე ახლო იყო მაგაზინების ყარაული, ქურდს კაცმა ხმა არ გამოსცა. ოჭ, რა ყარაულები არიან! სამი კაცი, რომელნიც იქ დარაჯობდნენ, დაინახეს თუ არა, რომ საქმე კარგად ვერ წავიდა, ებარგნენ და წავიდნენ საკათედრო სობორისაკენ ისთე არხეინად, ვითომ აქ არაფერი არისო. კიბეზე ამსვლელი ყაჩაღი კი ბულვარში შებძანდა და „წითელი“ ხიდისაკენ გაუბერა წასვლა, ახალი სანაშოვრო-თურთ. იქ, ბულვრიდამ გადასვლისას ჭხედავს, რომ ერთი ვიღაც დაჭდომია „ათის ტიეებიო“ შეუურობილისაებრ. თურმე, ნუ იტყვი, ეს კაცი პოლიციელი „დესიატსკი“ ეოფილა. ქურდს დაუნახავს თუ არა ეს კაცი, უკუბრუნებულა; ქამარ-ხანჯალი ბულვარში დაუგდია, და თვითონ სობორისაკენ გაუწევია, სწორეთ იქით, საითაც მისნი სამ ... ხანაგნი წავიდნენ.

ეს რეფანზე მწოლელის კაცის ყვირილზე აღიძრა მთელ სახლობა: გოგონები, ბიჭები თავდაჭრილი ქათმებისაერ დაბერბეტობდნენ, თურმე; წამოვარდა ფეხზე ავადმყოფი და უმისოდაც სუსტი და ნაზი იმ სახლში მდგმური კნეინა გურიელისა ეგონა, თუ დაიღუპა, ეკლესიერი წაართვეს, და შიშისაგან გაშტერებული ბერანგა გაშოკარდა დერეფანზე. იქ მას, უმისოდაც მძიმე ავათმოფოს, სიგრილემ დაჭერა და ეხლაც უზომოდ ავად-მოფი არის. გათენებულს პოლიციელი „ბრისტავი“ მობძანებულა ამ ავათმოფოის სახლზე და დიდის ყოყმანის შემდეგ ამ შემთხვევაზე სიგელი (ბროტოკოლი) შეუდგენია, თუ კი რაიმეს გაგება შეიძლება იმ სიგელიდამ. ეს სიგელი ქალაქის სამსჯავროს გამომძიებულისათვის გადაუცია, მაგრამ ის ქურდები კი თავისუფლად დაჭბძანდებიან: არც ერთი მათგანი ჯერ არ დაჭერილა და არც ჩვენება ჩამოურთმევია.

ეხლა კითხვა იმაზე, რამდენად ადვილი იყო ამ ქურდების კვალის მოძებნა და მაია შეპურობა. ქუთაისში, როგორც სხვა ქალაქებშიცა, სავაჭრო მაგაზინების წინ ყოველ ღამეობით არიან განგებ დანიშნულნი ყარაულნი. ამათი მოვალეობა არის ის, რომ მთელი ღამე იმღვიძარონ და თვალ-ყური ადევნონ, არავინ ცუდ-კაცობა არ ჩაიდინონ. ამისთვის კარგი ძალი სასყიდელი ეძლევათ. კიბე, რომელზედაც ზეკით მოგახსენებდით, უნდა იყოს წამოღებული ერთ-ძალის სიმორიდამ: კნეინა გურიელის სადგომის სიახლოვეს არც არავის აქვს მაგეთი კიბე და, მაშასადამე, არც არავის დაჭკარგვია მაგეთი რამ. ჭსჩანს, ვიმეორებ, კიბე უნდა იყოს მოტანილი შორიდამ. გარდა ამისა, საიდგანაც არ მოიტანო აღწერილის შემოხვევის ადგილზე კიბე, უთუოდ უნდა გაიარო ქალაქის იგეთი ქუჩები, რომელთაც ორთავ მხრივ მაგაზინები და, მაშასადამე, ყარაულები ჭყავთ მუდამ ღამ. გარდა ამისა, „დესიატსკები“ თანამდებნი არიან თავ-თავის ნაწილში ღამობით მიმოვლიდენ, იმაზედ აღარას ვამბობ, რომ ქალაქში მუდამ ღამ არიან მიმომსვლელნი დარაჯნი. ნუ თუ ვერც ერთმა ამათგანმა ვერ დაინახა ის ქურდები, რომელთაც ხსენებულს ღამეს მოჭქონდათ კიბე ქუჩა-ქუჩა? თუ დაინახეს ეგეთი უებრო საქმე (რამდენიმე კაცი შესდგომია ერთს დიდს კიბეს და მიაქვსთ სადღაც ოთხს საათზე დილით), ერთმა მაინც რატომღა არ მიაქცია ყურადღება და არ ჭკითხა მათ აგეთი საქციელის მიზეზი? ამასთანავე ზეკით რომ დესიატსკზე მოგახსენებდით, რომელიც შეხვდა ქამარ-ხანჯლის ხელში მჭერს კაცს და რომელიც, თუ სულ მთლად ერუ არ იყო, უთუოდ კი გაიგონებდა გუ-

რიელის ტოლის სადგომიდან ბიჭების და გოგოების ყვირილს და „ვინ ხარ მამცს“,—მან რატომ არ მიიღო ენერგიული საშველება ამ კაცის დაჭერისათვის? მას თვით მარტო თუ ეშინოდა ქურდის შეხდომა, ხომ შეეძლო სასტვენლით დასტვენა, და ერთბაშათ მოგროვდებოდნენ მისნი ამხანაგნი მოკალეობისა მებრ? არც ერთმა არაფერი არ ჭქმნა. მაშასადამე, რა გამოდის აქედან? გამოდის იმათი „განგებ“ უქმობა — საქმის დაუდევნელობა და უყურადღებობა. დამატებით, ბორბოტნი ენანი ამბობენ, რომ იმათ კარგათ იციან იმ ზემოხსენებულის კიბის პატრონიო. თმა კაცი ხმას კი არა ჭსცემს მაინც. შეიძლებოდა პატრონის შეუტყობლად ქურდებს კიბე მოეპარათ. ამის წინა აღმდეგის თქმა არავის არ შეუძლია. მაგრამ პოლიცია მოკალეა ოკელის ტუდის შემთხვევისათანავე—კვალში ჩუდგეს — ოკელს ღონისძიებას ხმარობდეს—საქმის ასაკალ-დასაკალი შეიტყოს. ამისთანა არავის არ ჩუდენია აქა. მხოლოდ კიბე წაიღეს ორმა პოლიციის მსახურმა და შეარგვევინეს თავი სამსაჯულო შენობის ოთახში. ერთი სამადლო საქმე ვაინც კი ჭქმნეს ქუთაისის პოლიციის მოხელეებსამ შემთხვევაში! კიბე, რომელსაც შეიძლებოდა ბევრი წვიმაში გდება შეხდომოდა, შეასვენეს ეგეთს ადგილს, სადაც შუადამ სიმშრალეში იქმნება, და სადღე-ხვალიოდ კი არა,—„მეორედ მოსულამდის“ დარჩეს, როგორც სხვა ბევრნი ნაქურდალნი და დანატოგები „დამნაშავობის დასამტკიცებელნი ნიეთნი“. მე ეველა ზემოთ ნათქომით ის დასკვნა კი არ მინდა გამოვიყვანო, რომ ამისთანა საქმისათვის კაცები უთუოდ დაიჭირონ და დაატუსაღონ; არამედ ის მინდა ვთქვა, რომ . . . . . , ეგეთი უყურადღებობის და დაუდევნელობის შედეგი ის იქმნება, რომ ქურდები გათამამდებიან თვისს ბორბოტმოქმედებაში და შეიძლება იქამდის მიაღწიონ, რომ დღეს თუ ხვალ ბევრნი მეოჯახენი მათხოვრებად გაჭხადონ, ანტირ-ანაყიეღონ, და ბოლოს თვითონაც დაიღუპონ. ზოგნი შეიძლება დახვრიტონ, და ზოგთა ციმბირის მიწაში სიცოცხლით ჩამარხვა შეჭხვდეს ნუ თუ არ არის რიგი და მართებული, რომ ოკელმა კაცმა და მით მეტად პოლიციამ, რომლის პირდაპირი მოვალეობა, ქურდობ-ავაზაკობას განარინოს ოკელი კაცი, იმეცადინოს ოკელის ღონისძიებით (და არა ისეთ როგორც ამ შემთხვევაში მოიქცა პოლიცია) შეიტყოს დამნაშავე პირი და მომავლისათვის მაინც მოასპობინოს ქურდობ-ავაზაკობა, ეს კაცის ღირსების შემმარცხვენელი და განმაქრობელი საქციელი? მეორედ შეხდომამდის!

III ჩუ—კვ ოს წელსა. ბედკრულაძე.

საპოლიტიკო მიმოხილვა

მართალია დიდი ღირს-შესანიშნავია აწინდელის დროის ევროპიის სახელმწიფოთა ხალხთა შორის ურთიერთობა და მაზედ დ რთული პოლიტიკა; თვალ-საჩინოა ამ სახელმწიფოების გარეშე საქმეთა მიმდინარეობა, რომელსაც მოსდევს ზოგჯერ მშვიდობიანობა, ზოგჯერ ომი და ომზედ დართული ოოგელგვარი უბედურება და ვაი-ვაგლახი, მაგრამ ეველა ეს ღირს-შესანიშნავია და თვალ-საჩინო, როგორც მოგეხსენებათ, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ღირს-შესანიშნავია ის ტოტხალი სული, რომელიც დასტრიალებს და ამოქმედებს ეველა ამას. ეს სული არსებობს შინაგან საქმეთა მოწყობილობაში, შინაურ ცხოვრების ფერეოვნებაში და მიდრეკილებაში. მაშ არც უნდა გაიკვირო, მკითხველო, თუ შენი ყურადღება უმთავრესად მიქცეულ იქმნება (იყო კიდეც რამდენადაც შეგეძლო) ევროპიის სახელმწიფოთა შინაურ მდგომარეობაზედ. დაწვრილებით მოგითხრობთ, იმ ბასსს, რომელიც გაიმართა რეიხსტაღში ახალის, სოციალ-დემოკრატთა წინააღმდეგ მიმართულის, კანონის თაობაზედ. ადრეკაც მოგახსენეთ, რომ ამ კანონის ბედ-იღბალს, ე. ი. მიღებულ იქნება რეიხსტაღის მიერ თუ უკუგდებულ, დიდი მნიშვნელობა ექმნება მეთქი, არამც თუ მარტო გერმანიისათვის, თვით გერმანიის საზღვარსაც გადასცილდება.

მოხსენებულის კანონის განხილვა დაიწყო რეიხსტაღმა 16 სეკტემბერს (ჩვენებურად 4-ს). თავ-მჯდომარედ, ბისმარკის მაგივრად, რომელიც სხდომის დასაწყისს არ დასწრებიოო იყო გრაფ შტოლბერგ-ვერნიგეროდე. თავ-მჯდომარემ სთქვა რომ, საჭირო ადარ არისო დაწვრილებით შამოკვლევა თუ რამ აწარმოვა წამოუენებული კანონიო, მხოლოდ ის კი უნდა მოგახსენოთ, რომ მოზაკვე მთავრობანი მტკიცედ არიან დარწმუნებულნიო მძლავრ იარაღის საჭირობაზედ, რომელმაც უნდა დასძლიოსო ის შიში, რომელსაც უქადის სახელმწიფოს და საზოგადოების სოციალ-დემოკრატთა ქადაგობა. ამა შიშს, რასაკვირველია, რეიხსტაღიც აღიარებსო. მისი მთავრობანი დარწმუნებულნი არიან, რომ თქვენდამი წარდგენილი კანონი საკმაო არ არის ამ შიშის ატიღებისათვის; მათ (მოზაკვე მთავრობათა) კარგად იციანო, რომ დაცვა ბორბოტობისაგან შეუძლიან მხოლოდ სახელმწიფოისა და საზოგადოების საერთო მოღვაწეო-

ბასაო; გარდა ამისა საჭიროაო დაცულ იქმნეს ღვთის მოუკვრელობა, ერთგულობა საგვარ-ტომო დაწესებულებათადმი და ნდობა გვარ-ტომობის დედა-სულისა. სახელმწიფო ხმარობსო ხსენებულ ზომიერებას არა მარტო თვის საკუთარ სარგებლობისათვის, არამედ თვითო მუშა-ხალხის სასარგებლოდაცაო, რომელიც დრო არის დავიფარეთო შარადის მცდელობისაგანაო.

წარმოდგა შემდეგ დეპუტატი რეიხენშპერგერი (კლერიკალთა დასის მოღვაწე). ამ დეპუტატის აზრით ეხლა წარდგენილი კანონი და უწინდელი, რომელიც უკუაგდო რეიხსტაღმა, ძალიან ჭგვანან ერთი ერთმანეთს; ორთავეს მტკიცე საბუთი აკლიათო. მთელი გერმანიის ხალხი დიდად შეწუხდაო, როდესაც იმპერატორის სიტყვა მეორედ ჩაკარდა განსაცდელშიო. მაგრამ ეკუთვნოდნენ ჭედელი და ნობილინგი თუ არა სოციალ-დემოკრატთა დასს, ეს მტკიცედ არ არის დამტკიცებულიო ახლად წარდგენილ კანონში, სოციალ-დემოკრატთა ქადაგობის შიში ადრეკვაც ცხადი იყოო. ჩემის აზრითაო კანონში არ არის აშკარად ნაჩვენი საბუთი, რომელიც შეადგენდესო არსებითს თვისებას წამოყენებულის დანაშაულობისასაო. სიტყვები „აწინდელის წყობის აღმოფხვრა“—ისეც გაიგებაო და ესეც ეს სიტყვები შეგვიძლიან დავართოთ, მაგალითებრ, საერო ტოლ-ქმრობასაო, და სხვა ამ გვარს საგანსაო. სოციალ-დემოკრატთა აზრი და მიმართულება იმისგან წარმოსდგაო, რომ ხალხი დაშორებული იყო სარწმუნოებასაო და მიმართულიო კათოლიკეთა წინააღმდეგ. რა კი ხალხს უკარგვენო რწმენას სიქაო სიტყვლისადმი და რა კი ხალხს აღარა სჯერაო, რომ საქაო ტანჯვისათვის მას სამაგიერო მოელის, რადა გასაკვირველიაო, რომ იგი აღარ ითმენს ამა ტანჯვას. ეს არსებითი ჭეშმარიტება ჯერ ბრუდონსაც ესმოდაო, მამას სოციალ-დემოკრატიისასაო; ბრუდონიც ამბობდა, რომ ბერველი ნაბიჯი საქაო ბედნიერებისადმი უნდა იყოსო სიქოსადმი რწმენის გაუქმებაო, მოტეტებულ მუშა-ხალხის სწორე გზაზედ დაუენებაო არ შეიძლებაო მისის უფლების შემცირებითაო.

ასე აპარაკობდა კლერიკალი რეიხენშპერგერი, და ბოლოს აღიარა აზრი, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი წინადადება (კანონად მისაღები) არც მისაღებიაო და არც გადასაკეთებიაო.

კანონის წინააღმდეგ იაპარაკა აგრეთვე დეპუტატმა, ბებელმა, სოციალ-დემოკრატთა დასის მოღვაწემ *). ეველაზედ უწინარეს ბებელი წინააღუდგა აზრს რომ ვითომ რაიმე კავშირობა სუფევს ორივე ავ-კაცობისა (ჭედელისა და ნობილინგისა) და სოციალ-დემოკრატთა დასის შორის. მაზაკეთა საბჭო მოვალეაო, სთქვა ბებელმა, წარუდგინოს რეიხსტაღს ეველა რაც კი ნაჩვენი რამ იყო ორთავე დამნაშავეთა მიერ, საქმის გამოძიების დროს. ერთი დრო იყოო, ამბობდა ბებელი, როდესაც სახელმწიფოის უმჯობესი მოღვაწე (ე. ი. ბისმარკი) ხელს უმართავდ და უეკვეებდა სოციალ დემოკრატთა დასს რათა ესარგებლა ამ დასის გაკვლენით; ეხლა კი იგივე დასი იმყოფებაო ეოველ-გვარის დევნულობის ქვეშ. ახლად წარმოდგენილი კანონი არას დაკლებსო სოციალ-დემოკრატთა დასსა ზოგიერთ მის მოღვაწეთ გაუხარდებათ კიდეცაო. სოციალ-დემოკრატთა აზრადაც არა აქვთო საკუთრების გაქარწყლება. მათ ჭსურთო მხოლოდ, რომ მიწა და კაპიტალი, როგორც შრომის იარაღნი, თანასწორად ეკუთვნოდნენო ეველას.

ბებელს უპასუხა მინისტრმა, გრაფ ეიულენბურღმა. რაც შეეხებაო ნობილინგის საქმის გამოძიებახაო, იგი მთლად სასამართლოის ხელშიაო. აქ მხოლოდ ის უნდა ვთქვაო, რომ ნობილინგს, როგორც თვითონვე უჩვენებია გამოძიებელისათვის, უკლია სოციალ-დემოკრატთა კრებებში, სადაც შეუქნია ამ დასის მიმართულებაო. არავინ არ ამბობს, რომ პირდაპირ სოციალ-დემოკრატის ნამოქმედარი იყოს ნობილინგის ავ-კაცობა; მთავრობა მხოლოდ იმას ამბობსო, რომ სოციალ-დემოკრატია ახალისებს გაბრაზებულს და უკმაყოფილოს ამგვარ დანაშაულობისათვისაო. რაც შეეხება იმასაო, ვითომ თვითონ პრუსიის მთავრობა ცდილობდაო სოციალ-დემოკრატთა დასთან დაახლოებასაო, ამისი არა ვიცი რაო. მაგრამ ესეც რომ ეოფილიყოო, დარწმუნებული ვარო, რომ მოვალეობის აღსასრულებლად და არა დარღვევისათვის იქმნებოდაო. იმ დროს მუშა-ხალხის მოძრაობაო ისე გავრცელდა და ძალიერდა, რომ რასაკვირველია მთავრობას უნდა ახლოო გაეცნოოო მისი ხასიათი და მიდრეკილება რათა დაეუნებინაო სწორე გზაზედ.

ლიბერალებმაც აღიარეს თვისი აზრი ახალის კანონის შესახებ. მათმა წარმომადგენელმა, ბამბერგერმა, სთქვა

*) ბებელის სიტყვა და ბისმარკისა, ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართულნი, მთლად იქმნებიან დაბეჭდილნი შემდეგ ნომერში.

სხვათა შორის შემდეგი: „ბორბოტობა (ე. ი. სოციალ-დემოკრატთა ქადაგობა) იმდენად მძიმეა, რომ იძულებულ გვხდის თანაუხმოთ კანონს. მაგრამ ეს იმისა არა ნიშნავს, რომ პოლიციას უნდა მიეცეს განუსაზღვრელი თვით მოქმედობა“. ერთის სიტყვით, ლიბერალებს ჭსურთ თან სოციალ-დემოკრატების ამოწყვეტა და თან მთავრობისთვის წინააღმდეგობა. აი რა ჭსთქვა ბამბერგერმა ბისმარკის შესახებ: „ეჭვი არ არის—კანცლერი არ დაუახლოვდებოდა სახელმწიფოის მოწინააღმდეგე მოძრაობას. (ე. ი. სოციალ-დემოკრატებს) იგი რომ იმ გვარადვე პასუხის მგებელი ყოფილიყო, როგორც სხვა ყოველი საპოლიტიკო მოღვაწე. მაგრამ რაც უნდა იყოს, თავს ვერ: რაფრით ვერ გაიმართლებს რომ ვერ გაიგო საშიში მოძრაობა ხალხის ცხოვრებაში.“

რეიხსტაღმა დანიშნა კომისია ოცდა ერთი წევრისაგან რომელმაც უნდა განიხილოს მთავრობის მიერ წარდგენილი კანონი და თვისი განაჩენი წარუდგინოს შემდეგ რეიხსტაღს. ამ კომისიამ გადაასწორა პირველი მუხლი მთავრობის წინადადებისა და გამოხატა შემდეგის სიტყვით: „ადგრძალულნი უნდა იყვნენ საზოგადოებანი, რომელნიც ცდილობენ ძირიანად დაარღვიონ - სახელწიფო ან საზოგადობრივი წყობა, ანუ საზოგადოებანი, რომელთა მოღვაწეობა უქადის შაშს საზოგადოების მშვიდობიანობას და სხვა და სხვა წოდებათა ურთიერთობას“.

მოკლე შენიშვნა სამძღვარ გარეთიდამ

V.

კელნი. 16—18 ივლისს.

11 ივლისს, საღამოს რვა საათზედ გამოვეთხოვე ლებტიხს—საქსონიის განთლების დედა-ბოძს და რკინის გზით გამოვსწიე კელნის ქალაქისკენ. მინამ ძალზე შებინდებოდა, გზის არე-მარეს თვალს არ კაშორებდი და ყველგან ერთსა და იმავე სურათს ვხედავდი; ყველგან, ყველა ადგილს კაცის ხელოვნების ნიშნები ღრმად ეჩნდა, ცარიელს და შეუმუშავებელს ადგილს კაცი აქ თვალს ვერ მოჭკრავდა. ჩემს საამწუხაროდ ძალზე შებინდებამ შემაწყვეტინა გზის არე-მარის თვარიელება და იძულებული ვიყავი ზურგით მიგუდებულვიყავ ვაგონს, ანუ რკინის გზის ეტლსა. ჩემი მეზობლებიც ეგრეეე იყვნენ მიუდებულნი და თითქო სიჩუმის დარღვევას ერიდებოდნენ. დიდი ხანი არ გამოსულა, რომ ესენი მოჭყვნენ თოლემას და თავების ქნევას. მეც მინდოდა ამათებრ ძილისათვის თავი მიმეცა, მაგრამ ფიქრებმა არ მოუშვეს ჩემთან ძილი. ხან ერთი ფიქრი გამოჭტყვრებოდა ჩემს გონებაში და შემიშფოთებდა, ხან კიდეე მეორე. საკვირველი რამ არის ფიქრების წესი, ფიქრების შობის კანონი. როდესაც ერთს ფიქრს ვეკანდი ხოლმე სრულებით შეშფოთებული, იმ დროს, როგორმე ეს ფიქრი მოედებოდა, ანუ კლანჭს გამოჭკრავდა, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, მეორე გონებითს ძაფზე ასხმულს ფიქრებს და ესენი ერთბაშათ ზემოდ ამოხტებოდნენ და შეიშფოთებდნენ ჩემს გონებას. პირველი ფიქრი კი მსწრაფლად გაქრებოდა ხოლმე. ახლა რა ჭქონდათ საგნად ამ ჩემს ფიქრებს? რა არა აქვნდათ? ხან საქართველოს მდებიარეობას გამოიფენდნენ წინ და თითქმის ასე მეუბნებოდნენ: აბა, შეადარე აქაურს მდებიარეობასთან! ხან ამ მდებიარეობის მცხოვრებლების ბედს მიხატავდნენ—ამიყვანდნენ საქართველოს ხალხის ისტორიულ—ცხოვრების სათაურამდინ და იქიდამ გადმოამხედებდნენ,—ხან კიდეე, რომელიმე საქართველოს გამოჩინებულს—ისტორიულს პირს ჩაავლებდნენ ხელს და ამას შემოარტყამდნენ გარეშემოთელს ეპოხას;—ხან კიდეე უმგზავსებს და მამულის მოღალატეებს გამოიგდებდნენ წინ და მათს მოქმედებას მაგონებდნენ. ამ საგნებიდამ ერთბაშათ რაღაც მანქანების ძალით გადამაფრენდნენ სხვა საგნებზე, რომლებსაც არაკითარი კავშირი არა ჭქონდათ პირველს საგნებთან; მაგრამ რაღაც მიზეზისა გამო, ცოტა ხნის შემდეგ, გამოკვრდებოდა ფიქრი, რომელიმე ჩემს ნაცნობზე ტფილისში და ფიქრი კიდეე ამ ნაცნობზე გამოიწვევდა სხვა ფიქრებს სხვა ნაცნობებზე და მათ მოქმედებაებზე, მერმე სულ ერთ ფიქრად გარდიქცეოდა და ეს საზოგადო ფიქრი გაიხდიდა ხოლმე საგნად ჩვენის წინამორბედების მოქმედებაებს—აწინდელს და მომავალს. ჩვენის მოწინავე კაცების ხან კარგს და გულის სასმენს მოქმედებაებზე მიაქცევდა ჩემს ყურადღებას, ხან კიდეე მოუფიქრებელს და მაკნებელს საქართველოსათვის. ნუ წარმოიდგენთ, რომ მარტო მოხსენებულს საგნებზედ ეტრიალთ ჩემს ფიქრებს. არა, ესენი ხშირად შეეხებოდნენ ხოლმე იმ შთაბეჭდილებასაც, რომელიც მე გამოვცადე მგზავრობის დროს—ხან სრულებით უბრალო შთაბეჭდილებასაც გაიხდიდნენ ხოლმე საგნად. ერთის სიტყვით, ვინ ჩამოსთვლის, თუ

რამდენ საგანს და რა და რა ჯურისას შეეხნენ ჩემი მოუსვენარი ფიქრები, მანამ მეც ჩემს მეზობლებისაებრ არ მიმეძინა, მეორე დღეს დილით, ხუთს საათზე, ოითქმის უველას გამოგვეღვიძა და თვინჯრიდამ დავიწყე კიდევ ტქეფრა. ეხლა ორთქლ-მავალა მიგვარბევინებდა ვესთვალიის მაზრაში და ამ მაზრის არე-მარე, ხნულები დათესილი მიწები, საძოვრები—ერთის სიტევით ვესთვალიის მდებიარება და ამისი შემუშავება საქსონიის შემდეგ ველარ მოამიგიდა თვალში. აქ ხშირად ვხედავდი შეუმუშაებელს მიწებს, აგრეთვე უხეირო და უწმინდურს ბილიკებს მიწებ შორის, დათესილ მიწების გვერდზე საძოვრად გამოფენილს ძროხებს, თხებს, ანუ კიდევ ხარებს. მაგრამ მიწების შემუშავების და უველგან სიწმინდის ბადლად აქ ვხედავდი რკინეულობის გასაკეთებელს ქარხანებს, ანუ კიდევ ქვა-ნახშირის მადნებს. რამდენიც უფრო და უფრო მიეგიდოდით დასავლეთისკენ, იმდენი უფრო და უფრო ქარხანების რიცხვი მრავლდებოდა. რეინის მაზრაში რომ გადავედით, აქ ხომ უველა ნაბიჯზე ვხედავდით ქარხანებს, ბუხრებს და ერთის საშინელს კომლს, ასე რომ ეს კომლი თითქმის სრულებით ჰფარავდა სოფლებს.

ორთქლ-მავალა ისევ ვესვალიაში იყო, რომ ჩემის ლამის მეზობლები ერთის სტანციაში ჩამოხტნენ და ამათ ბადლად სხვანი შემოსხდნენ ვაგონში. ამ ჩემს ახალს მეზობლებს შორის ერთად-ერთი ახალ-გაზდა ვაჟ-კაცი იყო. ამისი შავი და ნაზი წვერი, გრეზა თმა, ტანის მოუვნელობა და ტოტხალი მიხრა-მოხრა სწორედ იმერელს მოგაგონებდათ. ეს უველას „ოგველგვარ კითხვაზე ტოტხლად აძლევდა პასუხს და ხელით უჩვენებდა ანუ სოფლებზე, ანუ კიდევ პატარა ქალაქებზე, რომ დიდი ხანი არ არისო, რაც აქ ასეთი ტოტხალი მოქმედება და მოძრაობა დაიწყოო. რადგანაც ამ უმაწვილმა-კაცმა შემატყო, რომ მე უველაზე უფრო ცნობის მოყვარეობით უველას თვალს ვადევნებდი და ვიძიებდი, ჩემკენ გადმოჯდა და მალე ერთიერთმანეთი გავიცანით. ჩვენი მეზობლები თითოეულად სხვა და სხვა სადგურებში (სტანციებში) გადმოვიდნენ და მარტო მე და ეს უმაწვილი დავრჩით ვაგონში. აქეთ-იქით ტქეფრა მოგვწყინდა და მოვეკეთ ლაპარაკს სხვა და სხვა საგნებზე. მალე ლაპარაკმა მოიტანა გერმანიის აწინდელი პოლიტიკური მდგომარეობა და ამ უმაწვილმა-კაცმა გარდმოამცა შემდეგი: „ეხლა გერმანიისათვის ცუდი უამია; რეაქცია აპირებს ცხოვრების ტრიალს, კლანჭები ჩაავლოს და შეაყენოს, ანუ კიდევ უკან დასწიოს. ორ-ჯელ თოფის სროლამ იმპერატორისადმი გაათუჯა საქმე. ეხლა ვინც არა მგონია სოციალ-დემოკრატებზე ლაპარაკობს და გერმანიის დამღუპველებათ ჰრაცხს. გაზეთებიც ამ გვარ კაცებს ტაშს უკრავენ და მკითხველებს—მუშა ხალხსაც ჩასძახიან ყურში, რომ სოციალ-დემოკრატები უფრო დაგღუპავენ და არამთუ გიშველიან რასმეო. ეს გაზეთები ვინ იცის, რას არ აკრცელებენ სოციალ-დემოკრატებზე. აი ეხლა 30-ს (20) იკლისს „რეიხსტაგის“ გერმანიის საზოგადო ურიცობის წევრთა ამორჩევა იქნება ხალხისაგან და მაშინ გადაწყდება ბედი და უბედურობა გერმანიისა. თუ ლიბკნეხტი და ამისი მომხრეები არ ამოირჩიეს, მაშინ რაღა თქმა უნდა, რომ რეაქციას დარჩება ბურთი და მოედანი, რადგანაც სხვა დასთა მომხრეებია დემოკრატები, ლიბერალები და სხვ. ძალიან ადვილად დაემორჩილებიან ხოლმე „ბძანებას.“ „როდესაც ლეიფციხის უნივერსიტეტის სტუდენტებს შეკეხენით ლაპარაკში, ჩემმა მემუსაიფემ აი რა აზრი გამოსთქვა ამ სტუდენტებზე: „ეხლა, ლეიფციხის უნივერსიტეტი ბისმარკის მოხელე კაცებს ამზადებს და არა თავისუფალ მოქალაქეებს. აქედამ ადვილად შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, თუ რა განვლენა ექნა ჭქონდეთ მომავალში მოხსენებულის უნივერსიტეტის სტუდენტებს საზოგადოებაზე.“ აი ამ გვარ ლაპარაკში სულ დაგვიწყდა გზის არე-მარეს თვარიელება და შეუნიშენელათ მივედით კელნის საგურს (სტანციაში), სადაც მე და ეს უმაწვილი-კაცი გამოვეთხოვეთ ერთ-ერთმანეთს. ათი წუთის შემდეგ მე ვიუავი კელნის მუზეუმის დასახლებით სასტუმროში და აქ პატარა ოთახში ვბინავდებოდი.

×

კელნის ქალაქი ნახევარ რგოლივით არტია რეიჭნის მარცხენა ნაპირს, მეორე ნაპირზე კიდევ მდებარებს დეიტი, რომელიც კელნის ქალაქთან შეერთებულია ორის ხიდით. ერთი ამ ხიდთაგანი არის რკინისა და დაფუძნებულია თლილის ქვების დიდ ბურჯებზედ, კელნის მხრისაკენ ამ ხიდის ზემო ერთს ბურჯზედ ჰსდგას ახალგაზდელი იმპერატორის მამის სახსოვარი. ხოლო დეიტის მხრისკენ ხიდის ზემო მეორე ბურჯზე ჰსდგას თითონ კელჰელმის სახსოვარი, ხიდი ორათ არის გაყოფილი; ერთს მხარეზე დაიარება ორთქლ-მავალა, მეორე მხარეზე კიდევ ხალხი. საზოგადოდ, ეს ხიდი თავისის სიგრძით და ბურჯებით შესანიშნავი რამ არის. მეორე ხიდი კიდევ ხისა

და ნაკეებზეა გამართული. კელნის ქალაქს გარეშემო არტ-
�ia ციხე და რამდენიმე ხელოვნებითი ბორცვი; ციხეს გა-
რეთ ჩრდილოეთისკენ უწყვია ზოოლოგიური და ბოტანიუ-
რი ბაღები, რომლებიც თავიანთ მომართულობით ნაკლე-
ბი არ არიან დრეზდენის ზოოლოგიურ და ბოტანიურ, ანუ
ცხოველების და მცენარეების ბაღებზე. რაც შეეხება სახ-
ლებს და ქუჩებს, ამაოი მომატებული ნაწილი ძველი შე-
ნობაა და ზედ ასვია საშუალო-საუკუნოების ბეჭედი და
ამით კელნა ძრიელ აგონებს კაცს კრაკოვის ქალაქს. ქუ-
ჩაში და უველა სახლში გაუკანილია წყალი და ამისათვის
უველა ნაბიჯზე მგზავრი ხედავს აქ შადრევანებს ქუჩებში,
სასტუმროებში და კერძო სახლებში. წყლის პატარ-პატა-
რა ნაკადურები თავისუფლად მიმდინარობენ ქუჩებში და
ამით ქალაქს ტუალს სახეს ჭსდებს, რადგანაც ამ ნაკადუ-
რებს უველა სახლობიდამ უმატებენ ნარეცხებს.

კელნის ქალაქის შენობეებთ-შორის ბევრია შესანიშნავი,
მუზეუმის სახლს იტუვით, თუ თეათრის შენობას; მაგრამ
უველაზე შესანიშნავია აქ, როგორც თავიანთ არხიტექტურით
ისე სიძველით ორი შენობა: ქალაქის საბჭო სადგომი
„Rath-Haus“ და სობორო „Domkizehe“. ისტორია
ამ უკანასკნელის შენობისა სწორედ შესანიშნავია. არხი-
ეპისკოპოზს ენგელბერტს 1225 წ. განეძრახა დიდი სამა-
გალითო სობორის აშენება და შეედგინა კიდევაც გეგმა
(პლანი), მაგრამ სიკვდილს აღარ დაეცალია ეს გეგმა
აღსრულებაში მოეყვანა; მხოლოდ ამის მეორე მოადგილე
კონრადი შესდგომოდა მოხსენებულის ეკეკლესიის აშენებას
და 14 აგვისტოს 1248 წ. ეკურთხებინათ ეხლანდელის
სობორის საძირკველი; მაგრამ შენობის საქმე სწრაფად
არ წასულიყო წინ. მხოლოდ მეხუთმეტე საუკუნეში უფ-
რო ბევრითად შესდგომოდნენ შენობის საქმეს და ეს სო-
ბორი იმოდენად აეშენებინათ, რომ თურმე სამლვრთო
მოქმედებას აღსრულებდნენ. მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე
საუკუნოებში სხვა და სხვა პოლიტიკურ მდგომარეობის
გამო სრულებით შეეჩერებინათ შენობა. მეთვრამეტე საუ-
კუნეში, როდესაც ფრანციელებმა სხვა ქალაქებთან კელნის
ქალაქიც დაეპყრეს 1796 წ. უპატრონობისა გამო სო-
ბორის გვერდის ეკეკლესიის ჭერი ჩამოწოლილიყო. ბო-
ლოს მეცხრამეტე საუკუნეში პრუსიის კაროლებს ვილ-
ჰელმს III და ვილჰელმს IV გამოეცათ ბძანება, რომ სო-
ბორის დანარჩენი კედლები დაეცვათ; მხოლოდ 1823 წ.
შესდგომოდნენ ეკეკლესიის გაახლებას და 4 სექტემბერს
1842 კიდევაც შენობის განგრძელებას. ამ წლიდამ,
ე. ი 1842 წ. ამ ეკეკლესიის შენობაზე მოუხმარნიათ,
ანუ დაუხარჯავთ თოთხმეტი მილიონამდინ მარკი. ამ უა-
მად მხოლოდ სამლეკრონლა აკლია ტოტალოდენი დასრუ-
ლება.—

მოხსენებული სობორო ჭსდგას პატარა ბორცვზე,
რომელიც რეინის ნაპირზე იქნება მაღალი ექვსის საჟ-
ნით. ვარაუდით რომ ვჭსთქვათ, სობორის ექნება სიგ-
რძით 45 საჟენი, სიგანით 20 საჟენი უფრო მეტიც, სი-
მაღლით შუა გუმბათამდინ 40 საჟ.; სამრეკლოს სიმაღლე
უფრო ბევრია. დავუმატოთ ახლა ამას ისიც, რომ ეკეკლე-
სია ჭსდგას ჯვარედინთ და უველა მხრით, ვინ იცის, რამ-
დენი მშვენიერის თლილის ქვით ნაშენი წოწოლა, ზოგი
მაღალი და ზოგი დაბალი გუმბათები აქვს. საზოგადოდ,
კელნის ეკეკლესია თავისის სიმაღლით, რამდენიმე მშვენიე-
რის გუმბათით და თლილის ქვის შენობით კაცს შეჭზა-
რავს. ამას გარდა კარისბჭეების კედლებზე რამდენიმე ფრანგე-
ბის ეკეკლესიის წმინდანების სახეებია მშვენივრად გამოჭიმული.
ერთის სიტუვით, უკეთესი ხელობა გოთიურის შენობისა
„არხიტექტურისა“ ამ სობორზეა დასრულებული და
ამის მნახველი თავის დღეში არ იტუვის, რომ ვიზანტიის
შენობა უკეთესია გოთიურზეო. აი ამ სობორის ყოველ
დღე და ყოველ საათს გარეშემო ახვევიან სხვა და სხვა
ქვეყნიდამ მოსულები და გაკვირვებით შესტქერიან აქეთ-
იქიდამ, ზოგნი კიდევ ვაი-ვაგლახით და დიდის ხვნეშით
ადიან საშუალო გუმბათში და აქედამ გასტქერიან კელნის
არე-მარეს. მართლაც ამ გუმბათიდამ მშვენივრად ჭსჩანს,
როგორც კელნის უველა კუთხეები, ისე ახლო-მახლო ქა-
ლაქები და რეინის ორივე ნაპირი შორს მანძილამდინ.

კელნის ქალაქში ამ უამად ცხოვრობს 130,000 სუ-
ლი ადამიანი და დეიტეში კიდევ 14,000 სული. კელნის
მცხოვრებლების მომატებული ნაწილი კათოლიკო—სარ-
წმუნოებისაა და ამ სარწმუნოებას მთელს გერმანიაში ისე
არსად ჭქონია და აქვს ფესვები გამდგარი, როგორც კელ-
ნაში. ეს ქალაქი საშუალო საუკუნოებშიგე თავი საბუდარი
იყო პაპის მომხრეებისა და უნივერსიტეტიც, რომელიც
მაშინ აქ არსებობდა, სრულებით პაპისაგან ნაჩვენებ გზას
მისდევდა. მეხუთმეტე საუკუნეში და მეთექვსმეტე საუკუ-
ნის პირველს წელიწადებში დიდი ერთგულობა აღმოუჩი-
ნეს პაპს, როგორც ამ უნივერსიტეტის პროფესორებმა,
ისე აქაურმა ბერებმა და შეებნენ ახალის მოძღვრობის

მომხრეებს. ამით ებრაელების ლიტერატურის გაქრობაც, ანუ დაწვაც მოინდომეს და კიდევაც ამ საძაგლობას მოახდენდნენ მთელის გერმანიის სამუდამო შესარცხვენლად, რომ იმ დროს არ ეკისრნა ებრაელების ლიტერატურის დაცვა ახალის მიმართულების მომხრეს რეიჭსლინს. რეფორმაციის გავრცელების დროსაც კელნის ქალაქმა თავისის მცხოვრებლებით – ბერებით და პროფესორებით დიდი წინააღმდეგობა აღმოუჩინა ლიუტერის მომხრეებს და მათი მოძღვრება თავის ახლო არ მიუშვა. აქამომდინ, როგორც ზემოთ შევნიშნე, კელნა კათოლიკო—სარწმუნოების ბუდეა.

რაც შეეხება კელნის ქალაქის სხვა მხარეებს, უნდა შევნიშნოთ, რომ საშუალო საუკუნოებში აქ დიდი ვაჭრობა იყო და მცხოვრებლების მომატებულის ნაწილის მდგომარეობა კარგი იყო; მაგრამ ბოლოს საუკუნოებში, რეფორმაციის გავრცელების შემდეგ გერმანიაში, აქ ვაჭრობა სრულებით დაეცა. ეხლა კი ამ ჩვენ მეცხრამეტე საუკუნეში რეიჭნის წყალში ორთქლ-მავალების გავრცელებამ, რკინის გზის საქმის წინ-წასვლამ, აგრეთვე დამშვიდებითმა მოქმედებამ ზოგიერთი ძველი დროთგანვე მდიდართ მცხოვრებლებისამ გაჭსადეს კელნის ქალაქი ხელმეორედ რეიჭნის დიდი ვაჭრობის შუა ადგილად და გერმანიის შესანიშნავ ბაზრათ. ამ ჟამად აქ დიდი ვაჭრობაა და შესანიშნავი მაღაზიებიც არის დამართული,

ქართველი მგზავრი.

(შემდეგი იქნება)

წერილი გურიიდამ.

ნაგომრის იარმუკა, — აქაური ცულლუტობა, — პრისტავის გულმტკივნეულობა —ებრაელთა გაცარცვა—ხალხის რბევა—გურულების სიმჩატე—აქაური შკოლები.

დაბა ნაგომარი მდებარეობს 14 ვერსტზე ოზურგეთიდამ, აღმოსავლეთით სუფსის შუა მდინარეობიმარცხენა ნაპირზე.—ნაგომარზე გაივლის ოზურგეთს სამტრედიის გზა-ტკეცილი და ნაგომრის სადგური (სტანცია) არის უკანასკნელი სამტრედიიდამ ოზურგეთს.—დაბა შესდგება ასიოდე კერძო სამეკიტნო და საფართლე დუქნებისაგან.—დუქნების მოშაღლოთ მოჩანს ახალი პატარა ეკკლესია. დაბის ჩრდილოეთ ნაწილში სუფსაზე გადამდგარია, ოდესმე მაგარისა და დიდის ტიხის ნანგრევები. მდებიარება დაბასა აქვს ჩაკარდნილი და ჭაობიანი, ჭაობიანი—ხაშმიანი და ტიგებიანი. ნაგომარი განთქმულია თავისის უოველ წლიეის ბაზრობითა (იარმუკობით), რომელიც იწყება 17 ივნისს და გრძელდება ათიოდე დღე.—ამ იარმუკაზე მოდიან ვაჭრები საქონლის გასასაღებლად ქუთაისიდამ, კულაშიდამ და ოზურგეთიდამ. თითქმის მთელის წლის საჭირო თართოლებს აქ ყიდულობს გურიის ხალხი და ამ დღეს ნაგომრობაზე ბევრი საქონელი საღდება.—წლევანდელს იარმუკას განსხვავებული ვაჭრობა უნდა ჭქონოდა ჩვენში რადგან წლევანდელსავით „თულიანი“ დრო, გურულების მახსოვრებაში მეორე არ მოიგებნება.—ეს კარგათ იცოდნენ ქუთაისელმა და კულაშელმა ურიებმა და რაც დამშალი, დაგვიანებული საქონელი ჭქონდათ, სულ აქ ჩამოათრიეს გასასაღებლად და კიდევაც გასაღეს. ნაგომრის იარმუკას ქუთაისის პარასკევის ბაზრობის შეხედულება აქვს. იგივე ხალხის სიმრავლე, იგივე სოფლელების ჯგუფები, ხალხის სიჭრელე და ნელი ხმაურობა.—ადგილ-ადგილ მოჩანან სოფლის ღარიბული მცირე ნაწარმოები: თიხის და ხის ჭურჭლეულობა, აბრეშუმები, სოფლათ ნაქსოვი სხვა და სხვა ნაირი შალები, რომელთ შორის ზოგი შეხვდება კაცს ძლიერ რიგიანთ ნაკეთები; დარაიები სხვა და სხვა ნაირი, ზოგი ისრე ლამაზათ და ნაზად ნაკეთები (ქათანა) რომ არ გეკერა, თუ ეს ხელობა რომელსამე ქარხანაში გამოგლილი არ არისო. ხალხის ჯგუფების გარშემო გრძელივად ჩაყოლებულია საფართლო კარგები სამასამდე.—თითო კარავში სამს მანეთს ღებულობს ვაჭრისაგან ამათი გამკეთებელი ადგილის პატრონი თ. გუგუნავა. კარგები გამოტენილია სხვა და სხვა საქონელით, რომელთ მეტი წილი დამშალი და დაძველებული.—ხალხი ჯგუფ-ჯგუფად ერევა კარგებს და ყიდულობს მთელის წლის სამოთხეს ნივთებს ერთსა ათის თასად —ურიები არიან ფაცა-ფუცში და საოცარი ოინობით ასაღებენ უკარგისს საქონელს.—ქართველი ვაჭარიც ხშირად თუ აჭარბებს ურიას, თორემ ალარ ჩამორჩება მაინც.

— ურია ხომ არა ხარ, შე კაცო, ესე მაშასისხლად რომ მიფასებ, ეუბნება ერთი გლეხი ჩვენებურს ვაჭარს.

— კიკილები აკლია, თორემ სხვა ფრიც ესეც იგივე ურიაა, მახვილად შენიშნავს იქ მდგომი მეორე გლეხი.—

დროის-დროს არსეინათ ჩაიგლის შუა ბაზარში ერთ-ერთი აქაურ ბრისტავთაგანი; ის მიდის ბისმარკის სიარულით და შესედულობით და ხალხი თავის თავად იბობა მის წინ. პოლიციის ნიშნად „გრეხილი“ მხრებზე სკმია, რომ ხალხმა იმას მოკრძალებით გ'ზა აძლიოს.— ეი ერთი ამთგანი მძიმეთ მოდის შუა ხალხში; მის ახლოს მოჩანს დიდი ჯგუფა ხალხისა; შუა ჯგუფაში ჩაფლეთილი დედა-კაცი დგას და საზარლად ზლუქუნებს გულ-ამოსკვნილი. ბრისტავი მოუხვევს, მრისხანეთ გაპობს ხალხს და მტირალ დედა-კაცს დაეკითხება: რას ჭსტირი, დედი?—ოცი მანეთი.... ოფლით და სისხლით მოკრეფილი.... ქვითინებს დედა-კაცი. ქვრივ-ოხერი ვარ.... ქალი უნდა გამეთხოვებია და მზითევი მეუიდნა... ხუთი მანეთიც სხვისი იყო.... იმ ურიასთან ვვაჭრობდი, მიუშვერს ხელს ახლო კარავში მჯდომს ტუღლუტის შეხედულების ურიას: ავიღე ხელში და აგერ უბეში ჩავიდე, ორი ნაბიჯი რომ გამოვდგი, ხელი ჩავიუე, დავისინჯე—აღარა მაქვს. ურიას დავეკითხე, პირ აქეთ ლანძღვა დამიწყო. ესენი ხედავდნენ, ორი ბიჯის მეტი არ გამიდგამს, ან იქვე დამმგარდა, ან უბიდამ ვინმემ ამომცალა.... მიხედე შენს ღმერთს, ობლის მამავ, მიშველე რამე, მოიკითხე...“

„ვინ იცის, ვაკო, უბეში ჩაიდე თუ სადმე დაგვარდა, და ვინ იცის ვინ წაიღო? უპასუხა ბრისტავმა და უზრუნველად გაბრუნდა უკან, თითქო არაფერი მის პირდაპირ თანამდებობას აქ არ შეეხებოდეს და მისი საქმეც კი არ იყოსო.—მიდი მეორე ბრისტავთან, ურჩია ვიღაცამ: ის სდგილობრივი ბრისტავია; იქნება მან რამე გითხრას, მიიკითხ-მოიკითხოს.

ე, დაანებე თავი, ნულარ გზავნი ბრისტავთან, ურჩია მეორემ. არ იცი რაც სიკეთე მაგათგან გამოვა! ხალხში საბრალულის ხმები მოისმა,—მოკვრიფოთ თითო ოროლი გროში, ჭსთქვა ერთმა და ყველამ ჯიბეში ხელი ჩაიყვეს. მოისმა გროშების ჩხარუნი და იქვე ოთხიოდ თუ ხუთიოდ მანეთი შეკრიბეს ჩაფლეთილმა გლეხებმა ამ საბრალო ქვრივ-ოხერის სასარგებლოდ.—ბრისტავი კი გაქრა—წავიდა, ამბავიც აღარ უკითხავს. ამისთანა წესიერების ქვეშ აბა როგორ არ უნდა გაურტელდეს ათას გვარი ტუღლუტება და მეჯიბეობა! რამდენსამე გლეხს თითო ორორი მანეთი ჯიბეში თურმე დაჭკარგოდათ; ცხადია ჩვენშიაც ერტელდება სამეგრელოს ოსტატური მეჯიბეობა და მრავალი კიდევ სხვა სიტუღლუტე. რატომ არ გაურტელდება: ხმის გამტემი ვინ არის! ფორმისთვის, ხალხის შესახედათ მაინც მისულიყო ერთ-ერთი ბრისტავი იმ ურიის კარავში და ერთი ორი მაგარი სიტყვა ეთქო, რომ დანახათ იქაურს ტუღლუტებს აქ წესიერების დამცველი ვინმე ყოფილა და ყოველთვის დაუსჯელათ არ გაიგლის ესეთი შემოხვევა. მაგ კაჟ-ბატონებს რომ ჭკითხოთ, მაზრის მტკველი მასპინძლები და პატრონები ესენი გახლავან და ესენი გვიგლიან ყველას. ესემც მოეკლოთ მაგათ თავიანთ სკუთარის ოჯახისათვის!

ჭო, მართალია დიდი მასპინძლები გახლავან ესენი აქაურს სასოფლო კანცელარიებში, სადა გაიშლიან ხოლმე ფართე სუფრას, დაგროვებენ ზედ ლატკის გლეხის ოჯახებში უფასოდ მოკრეფილს და მამასახლისისაგან გემრიელად შემზადებულს ქათმებს, ღორს, საუკეთესო ღვინოს და შეეტეკიან ულარდელად. ვინ ჭსთქვა ბატონუმობა და ბეგრობა მოისპოფო! მოისპო კი არა, იმატა და გაძლიერდა. ბატონ-უმოძის დროს განსაზღრული მაინც იყო გლეხის ბეგარა და მეტს ძალათატ იშვიათად ართმევდა ბატონი; ახლა კი რამდენსაც მამასახლისი მოისურვებს და რამდენიც საჭიროა ბატონი. ბრისტავის გუჭის გამოსატენად, იმდენი უნდა მოიკრიფოს კვირაში რამდენჯერმე. ამ ფორმის ბეგარა ისრე ჩვეულებრივ საქმეთ გადაქცეულა ჩვენში, როცა ერთს სოფლის კანცელარიაში ამ ნაირი „ნარბევის“ საუზმის შემდეგ აქაურმა მაზრის მმართველის თანა-შეემწეო საუზმის ფასი ფული მამასახლისს მისცა და მკაცრად უბძანა, უსათუოდ ეს ფული საუზმის პატრონს გადაეცესო. მამასახლისმა „აბიადად“ მიიღო ესა და ფულის გამოართმევას არ აპირებდა. ბოლოს როგორც იყო ფული აიღო, იქ მეოთხენი უკან დაბრუნდნენ.—ამათ მხლები ასაული შეეკაპარკეკებოდა გზაში: თქვენ გგონიათ, ბატონო, ის ფულები მართლა იმ საუზმის პატრონს მიუვა? მანამდი არაფერი გეტყინოსთ არც თქვენ და არც მე! მამასახლისი ჩაიდებს ჯიბეში და გათავდა! აბა რა გასაკვირი უნდა იყოს, რომ ამისთანა „ოჯახის პატრონების“ ხელში თან და თან იმატოს მრავალ-გვარი ბოროტ-მოქმედება და გახშირდეს იმისთანა აკაზაკობა, მაგალითებრ, რომელიც თითონ ამ ანრმუკის დროს მოხდა ნაგომარზე. ერთს აქ მოსულს ღარიბ კაჭარ ურიას ვიღაც ნაცნობი აუნდა, რომელმაც თავი ქობულეთიდამ გამოსულ ოსმალოთ გაუცნო ამ ახალგაზდა ურიას და საიდუმლოდ გაანდო, რომ მე მაქვსო

სათაორეთიდამ ჩუმათ გამოტანილი ოქროები ერთი ორიოდე გირვანქაო; მინდა ქალაქიდის ფულზე დავცვალო და თუ გსურს იყიდე, იაფად მოგცემ, რვა მანეთიან ოქროს ხუთ მანეთად მოგყიდიო. რა თქმა უნდა ურია სიხარულმა აიტაცა და ჭსთხოვა ოსმალოს, ჩემს მეტს ნურავის მიჰყიდიო. ოსმალოც შეეჭიარდა, ამა და ამ სალამოს მოვალ და მოგიწონ ოქროებს სადმე მიმალულს ალაგსაო. დანიშნულს დროს ნაცნობი მიეიდა ურიასთან და თავალით ანიშნა გამოჭყოლოდა. ურია ადგა, ერთი თავისი ამხანაგიც წამოიყვანა, ჯიბეშიაც რამდენიმე ათი თუმანი ჩაიდო, ხელშიც დაიჭირა ერთგვარი სასწორი, რომელსაც ლოლარიკს უძახიან ჩვენში (безменъ) და გამოჭყვა ოსმალოს. ტოტა რომ სავაჭრო კარვებს დასცილდნენ, ურიებმა თითქო რალაც იეჭვეს და ოსმალოს დაეკითხენ, როდისლა მოგვცემ იმ ოქროებსაო.—ა, ახლავე ტოტა კიდევ გავუვეთ წინ დაგვხდება ჩემი ამხანაგი, რომელსაც ოქროები აბარიაო. ამასობაში კარგა გვადიანად დასცილდნენ კარვებს და ხალხიან ადგს და მიუახლოვდნენ იქვე მიმდინარე ღელის დაბნელებულს ხრამს. ერთი ურიამ მეორეს წაულაპარაკა თურმე გზაში: ნეტა სად მიგვეყვანთ და რას გვიპირებს ეს კაციო.

— რა გეიშავს, ჩვენ ორნი ვართ, ეს ერთი, რას გვაწყენსო.—ამასთან ფულებიანმა ურიამ სიფრთხილისთვის ჯიბიდამ უბეში გადაიდო ფულები. ოსმალომ ჩაიყვანა სიხარულისგან ესე უსაზღვროდ დაბრმავებული საბრალო ებრაელები იმ ბნელს ხრამში, ერთიც უცბად დაუსტვინა; ამ სტვენაზე მეორე კაცი გამოხტა ბუჩქიდამ, მოამართული დამბაჩით ხელში, მივარდა ფულიან ურიას, იმ წამსვე გულში დასცა და იქვე წაქცია.—უცბად ჯიბე შიაჯრა და გაიქცა: ჯიბეში გაჭყვა მხოლოდ რვა კაპეიკიანი უბრალო სათამბაქო —კოლოფი.—მეორე ურიას პირველმა ავაზაკმა სტაცა ხელი, შიშველი ხანჯალი მიაბჯინა გულში და ფული მოსთხოვა. საბრალო ურიამ კანკალით დაუწყო ფიცი, გროში არ მაბადიაო. ავაზაკმა თითქო დაუჯერაო, მოაბრუნა ურია, ერთი კაი პანჩურიც უკან მიატანა, გაუშვა და თითონაც გაიქცა. გადარჩენილი ურია დიდ ხანს გონზე გერ მოვიდა, ბოლოს კი მოუკა ყვირილს, მაგრამ გვიანილა იყო—ღამეც მოესწრო და ავაზაკების კვალიც გაჭქრა. დაჭრილმა ურიამ რამოდენიმე საათი კიდევ იტოტხლა. სადამდინ მიიყვანა საბრალო ებრაელები უზომო ოქროს მოყვარეობამ! მხდლებიც ისეთები ამოჩნდნენ ეს საწყლები, რომ გერაფერი თავის დასაცველად გერ მოახერხეს. ერთს მათგანს ისე მძიმე ჯოხი (საწონი) ეჭირა ხელში, რომ ერთი რო ეხეთქა თავში, მეტიც არ უნდოდა—იქვე წაქცევდა ერთ-ერთს ავაზაკს. მაგრამ სად იყო ამდენი გაბედვა, ეს საქმე ჯერეც წარმოებაშია და ვნახოთ რით გათავდება.—ვისურვებთ დაუსჯელად არ ჩაველოს ამ საზარელს ბოროტ-მოქმედებას! მოგუბრუნდეთ კიდევ ბაზრობას. წლევანდელმა ბაზრობამ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა ის ჭაზრი, რომ გურულებისთანა ადვილად მიმბაძველი, მხატელ ამყოლი ხალხი ტოტა მოიძებნება ქვეყანაზე. უბედურება ისაა, რომ გურულების ხასიათის ისეთი მხარე თან-და-თან უარესს მიმართულებას ადგება, რადგანაც ვერაფერს კარგს მაგალითს მისაბაძველად ის ვერ ხედავს ეხლანდელს გამახინჯებულს ცხოვრებაში.—ბაზრობიდამ დაბრუნებულს ერთს გლეხს ხელში უჭირავს მეტად ნაზი, ბროლის თეთრი „ავაზა“ და სიფრთხილით მიაქვს შინისაკენ. ერთი ჩვენგანი გაუპირდაპირდება იმას და საღამს მისტეკს, გლეხიც ტოტხლად და ხალისით უხდის მაგიერს.

პირველი გამოელაპარაკება: ეს რა გიყიდია, და ხელს ავაზაზე მიუნიშნებს.—გლეხი პირს დაალებს და დაფიქრდება, თითქო პასუხი ვერ მიუგნიაო.

— რა ჭქვია, ამ ნიფთს? ჩაეკითხება პირველი —გლეხი სულ გაჩუმებულია: რად გინდა, რა გამოსადეგია ეს ნიფთი? კიდევ ეკითხება.

— რად მინდა?... ამოიდგა როგორც იყო ენა გლეხმა:—შენისთანა პატიოსანი როცა მესტუმრება, იმას მივართმევ ამით საჭამადს.

— შე კაცო, ის ჩემისთანა პატიოსანი შენი სტუმარი თუ მართლა პატიოსანი და სტუმრობის ღირსი იქნება, შენის შინაურის ხის ჯამით რა საჭმელს მიართმევ, ის უფრო იამება და უფრო მოგიწონებს. და ე მაგაში ფულის ხარჯვა კი, შენგანაც და ჩემგანაც დიდი შეცდომაა.—ე, რა ვქნათ, ბატონო, ჩვენ ფულის მოხმარება არ ვიცით, ვერ შეგინახავო ფულს.—მაგის შენახვა განა ფულის შენახვაზე ძნელი არ არის? ფულს გაახვევ რასმეში და გიგდია სადმე კუთხეში, ან და, თუ უფრო მარჯვე კაცი ხარ, ასარგებლებ და მოიხმარ; ეს კი დიდი სადმე—უცბად გადმოგივარდა ძირს და ფეხზენილად წავიდა! მეტი სიფრთხილო რამე იქნება?—სად ფულის შენახვის სიადვილე, სად მაგის!

— მართალს ამბობს ეს მამაცხონებულის შვილი ჩემმა დღემ, დაართო მეორე გლუხმა, დღეს ამ უსარგებლო ჭიქებში გხარჯავთ ჩვენს მონაგებს და კარზე, რომ ფოჩტის ფულის მოსაკრებათ მოხელე მოგვადგება, მაშინ ტაფა-ქვაბი უნდა გამოგვითრიოს მამასახლისმა კუთხიდამ....

აქაურის ქალების მაიმუნურს მიბაძულებას ხომ საზღვარი აღარა აქვს. მისაბაძვ მაგალითადაც ოზურგელი მანდილოსნები მიაჩნიათ, რადგან ამათის ჭაზრით ესენი უნდა იყვნენ დაწინაურებულნი და განათლებულნი, და მასასადამე მიბაძვის ღირსნიც. ჩვენებურის ქალების მოდურათ შეკერილს ტანთ-საცმელს რო ვუყურებ, არ მჯერა, თუ ესენი „მოდისტკების“ შეკერილი არ არიან.

ფერ-უმარილის თუთხნაში და წარბების ღებვაშიაც უკან არ რჩებიან სოფლის ქალები ოზურგეთის მანდილოსნებს. ჩვენებური ქალების მეტიჩარობა იქამდი მივიდა, რომ იშვიათ სოფლის ქალს ნახავს ეხლა კაცი უბრალო (კაცის) უნაგირზე მჯდომს. „უსელდოთ“ ჩვენებური ქალი ცხენზე აღარ ჯდება. ერთმა სოფლის ქალმა 40 თუმნათ ძველი „სელდო“ იყიდა და დღეში თითო შეკვდომაზე თითო მანეთად აქირავებს; ჭფიცამენ, ნახევარი თვისი უნაგრის აიღო კიდეცაო ამ ანგარიშიანმა მანდილოსანმა.—რომელი უნაგრებიც სტამბოლში და ოდესაში 20—30 მანეთად ღირს, აქ 60, 70 მანეთად ყიდულობენ. რამდენ დედა-კაცს ბალღები მთელის წლობით ტიტვლები უყრია ცეცხლის წინ და თითონ კი, ნავალევის თულებით „სელდოს“ ყიდულობს! მაიმუნობა მეტი იქნება! შიში და მწუხარება გეხვევა კაცს გულზე, როდესაც დაჭუერებ გურულების ესეთს სიმჩატეს.—მეტად საშიშო კალაპოტში ჩასდგება ამათი ზნეობითი ცხოვრება, თუ ამათ მიმართულებას არ ამოუხნდა უკეთესი, საფუძვლიანი მისაბაძავი მაგალითი და არ გადაჩვია ესენი ამ გულ-თეშეკურს, უსაფუძვლოს და მავნებელს მიმართულებას. ამისი ერთად-ერთი წამალი ამ მხრიდ რიგიანად მომართული საჯალო შკოლებია, და ვაი ჩვენი ბრალი, რომ ჯერ ჩვენში ამ ნაირი შკოლები, არ მოიპოვებიან. ის „ვიოლომ შკოლები“, ე რომელნიც ფოთრმისათვის დამართულია ჩვენში, (გარდა ერთისა) გერასფერში ხელს ვერ შეუწყობენ ხალხს ჯერ-ჯერობით. რუსულის საჯალმძღვანელოების გაზეთრება, ქართული წერა-კითხვა მახინჯათ, მრავლის-უმრავლესი ლოტეების ზეპირობა რუსულს ენაზე, იმ ენაზე, რომელიც ამ შკოლას გარდა, უმაწვილს არც სიზმრად, არც ცხადად არ მოსმენია, მერმე კიდევ ამ ლოტეების და ამ რუსულის საჯალმძღვანელოების დამახინჯებულად აღსნა და გადაცემა, რადგან თითონ მასწავლებელმაც ესე დამახინჯებულად იციან ყველა ეგეები—განა ესენი გაუხსნიან უმაწვილს ზნეობითს და გონებითს მხარეს? მაგრამ ეურის მგდებელი ვინაა და სადაა! გული მოგიკვდება კაცს, როცა დაესწრები აქაურს საჯალო შკოლების გამოცდაზე (ეკზამენებზე) „Родное слово“-ს მეორე ნაწილი და „Соколовъ“-ის სამეფოთ ისტორია გაზეპირებული აქვთ თავიდამ ბოლომდი, ერთი სიტყვაც, მგონი, გაშეებული არ იყოს. გაზეპირებულია საცოდავად დამახინჯებული: არცერთი სიტყვა არ შეგხვდებათ მართლად გამოთქმული ეეურებთ და თითქმის იკითხავთ, ეს თათრულია, თუ რუსულია.

ქართულს ენაში გამოცდა ხომ კიდევ მეტი საცოდაობაა.—სთქვი ქართული „სტიხი“.—ეუბნება ერთი გამომცდელ მასწავლებელთაგანი მოსწავლეს. გულ-საკლავად მოუვება უმაწვილი რომელსამე ლექსს „ბუნების კარიდამ“ და შეუდგომლად ჩააკაკალებს თავიდამ ბოლომდე—სულ მოუთქმელად.—

მერძე როგორ უმაწვილებს ამახინჯებენ ესეთი შკოლები? თვალებიდამ ცეცხლს ათქვეფს ბავშვი, ეურები მახვილად დაუცქვეტია, არ დაგიდუპო, ერთი სიტყვა მასწავლებლის არ დამაკლდესო,—საბრალო არაა ამისთანა ნიჭიერი და მცდელი უმაწვილები ესე ულმერთოდ მახინჯდებოდნენ და ეურის მათხოვარი კაციც არ მოეძებნებოდესთ?

ნომერი გაზეთისა დაგვიანდა იმის გამო რომ ბეჭედი მისი ახალს სტამბაში გადავიტანეთ.

რედ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 21 Сентября 1878 г. Типографія Амб. Энфиаджіанцъ. რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე.